ასლი

ს.ს.ი.პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
21.08.2009 № 98

სტუდენტთა მობილობის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №127 (28.03.2005), №564 (23.06.2009) ბრძანებების და განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2009 წლის 22 ივლისის №31 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2009-2010 სასწავლო წლის პირველ სემესტრში გადაყვანის/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველი პირებისაგან განცხადებებისა და საჭირო თანდართული დოკუმენტაციის მიღება, განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში დარეგისტრირებულ ვაკანტურ ადგილებზე, განხორციელდეს 2009 წლის 24 აგვისტოდან 7 სექტემბრის ჩათვლით (რეგისტრაციის მეორე ვადა), ყოველ დღე 10⁰⁰ საათიდან 16⁰⁰ საათამდე, შაბათ-კვირის გარდა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში (Iსართული, ოთახი 124)

   განცხადებების რეგისტრაცია ჩატარდეს სწავლების დეპარტამენტის სპეციალურ ჟურნალში თანმიმდევრული ნუმერაციით და დაესვას სტუ-ს კანცელარიის შტამპი არსებული წესის თანახმად.

2. სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს, პროფესორ ი.ლომიძეს

3. დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანებს (ზ.გედენიძე, ა.აბშილავა, გ.არაბიძე, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) უზრუნველყონ მოტივირებული დასკვნების მომზადება სტუდენტების მიერ გავლილი უმაღლესი სასწავლო კურსების ცნობის შესახებ და ერთიანი საუნივერსიტეტო ფორმის შესაბამისად წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტში არაუგვიანეს 11 სექტემბრამდე

4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) ამ ბრძანების მე-3 პუნქტის რეალიზაციისათვის სწავლების წლის განსაზღვრის ნაწილში იხელმძღვანელონ სტუ-ს რექტორის №82 (07.07.2009) ბრძანების დანართით

5. დაევალოს სტუ-ს ფაკულტეტების დეკანებს (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) კონკურსის არსებობის შემთხვევაში წარმოადგინონ შესაბამისი საგამოცდო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობა სწავლების დეპარტამენტში არაუგვიანეს 15 სექტემბრისა. ამავე ვადაში

შეიმუშაონ საგამოცდო ტესტები, შეფასების კრიტერიუმები და წარმოადგინონ სწავლების დეპარტამენტში დასამტკიცებლად და სტუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განსათავსებლად

5.1 კონკურსანტთა რეგისტრაცია ჩატარდეს შესაბამის ფაკულტეტებზე ამა წლის 18 სექტემბერს;
- საკონკურსო გამოცდა ჩატარდეს ამა წლის 21 სექტემბერს;
- სააპელაციო განცხადებების მიღება და მათი განხილვა მოხდეს ამა წლის 23 სექტემბერს;
- საკონკურსო გამოცდის საბოლოო შედეგები გამოცხადდეს ამა წლის 25 სექტემბერს

5.2 შესაბამისი ფაკულტეტის დეკანებმა საკონკურსო გამოცდის შედეგების საფუძველზე მოამზადონ წარდგინება სტუდენტთა გადაყვანის/აღდგენის წესით ჩარიცხვის შესახებ

6. ძალაში დარჩეს რექტორის 2009 წლის 15 ივლისის №90 ბრძანება

7. სწავლების დეპარტამენტის უფროსმა ი.ლომიძემ მოამზადოს 2009/2010 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სტუ-ში გადაყვანის/აღდგენის წესით ჩარიხცვის ბრძანების პროექტი და უზრუნველყოს მისი წარდგენა საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში

8. ბრძანება განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

რექტორი,
პროფესორი *ა.ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე,
პროფესორი , *ლ.კლიმიაშვილი*

სწავლების დეპარტამენტის უფროსი,
პროფესორი *ი.ლომიძე*

სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის
უფროსი, *ბ.მაისურაძე*